სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

02/06/2025

MES 9 25 0000607806

აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ ადგილზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 და მე-10 მუხლების შესაბამისად, სტუ-ის აკადემიური საბჭოს მდივნის, იაშა(კოკა) კუტუბიძის 2025 წლის 30 მაისის სამსახურებრივი ბარათის (600634) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025 წლის 23 ივნისს დაინიშნოს არჩევნები უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილზე:

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 1 ადგილი.

2. აკადემიურ საბჭოს წევრად ფაკულტეტიდან აირჩევა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3. აკადემიური საბჭოს წევრს ფაკულტეტიდან ირჩევენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ - სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

4. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი.
5. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 09 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით.
6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკუ ლტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
7. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭომ 2025 წლის 09 ივნისამდე უზრუნველყოს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საარჩევნო სიის წარდგენა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საარჩევნო კომისიისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
10. არჩევნების შედეგები განთავსდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. არჩევნების შედეგები წარედგინოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 05 დღისა.
11. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი ს სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.
12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით